

შპს „აი ტი გრუპ“-ს 31 დეკემბრით დასრულებული 2019 წლის
ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	შენიშვნები
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	310 781	146 285	580 577	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	519 214	502 186	380 637	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2 429	2 462	2 348	3.3
მარაგები				
- მზა პროდუქცია				
- სხვა				
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	54 815	26 943	20 230	3.4
ბიოლოგიური აქტივები				
- თავიღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გულადილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4 478	4 414	9 022	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	891 717	682 290	992 814	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	61 505	130 757	33 267	3.6
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	68 291	52 875		3.7
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები	15 516	11 797	16 689	3.8
სულ ვალდებულებები	145 312	195 429	49 956	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	746 405	486 861	942 858	3.9
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	746 405	486 861	942 858	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	891 717	682 290	992 814	

შპს „აი ტი გრუპ“-ის დირექტორი
შპს „აი ტი გრუპ“-ის ბუღალტერი

გიორგი წიკლაური
ნონა ისაგულაშვილი

საქმიანობის შედეგები

	2019 წელი	2018 წელი	შენიშვნები
ნეტო ამონაგები	11 590 052	10 774 691	
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან:	11 586 955	10 765 182	3.10
სხვა	3 097	9 509	3.10
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3 039)	(13 929)	3.10
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები	(3 039)	(13 929)	3.10
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	11 587 013	10 760 762	
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	(583 572)	(385 263)	3.11
ცვეთა და ამორტიზაცია	(2 117)	(4 979)	3.11
საპროცენტო შემოსავალი:	5 707	1 539	3.11
საპროცენტო ხარჯი:			
იჯარის ხარჯი	(9 661)	(9 661)	3.11
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(10 183 614)	(9 515 861)	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები	(10 773 257)	(9 914 225)	
საოპერაციო მოგება	813 756	847 128	
გაუფასურების (ხარჯი) / რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	21 645	21 387	3.12
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	(6)		3.11
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერ.	835 395	867 924	
მოგების გადასახადი	(86 378)		3.13
მოგება (ზარალი)	749 017	867 924	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)	749 017	867 924	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	486 861	942 858	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(489 473)	(1 323 921)	3.13
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	746 405	486 861	3.9

შპს „აი ტი გრუპ“-ის დირექტორი
შპს „აი ტი გრუპ“-ის ბუღალტერი

გიორგი წიკლაური
ნონა ისაგულაშვილი

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „აი ტი გრუპ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 22 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405001894 , იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს ქ., N 43 . კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი წიკლაური (პ.ნ.01024036689).

1.3. კომპანიის დირექტორია გიორგი წიკლაური (პ.ნ.01024036689).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები, სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება, საზღვაო და საკაბოტაჟო სატვირთო ტრანსპორტი, გადაზიდვის მომსახურება, სატვირთო საგზაო ტრანსპორტი.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კავშირგაბმულობის მოწყობილობები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობა - 5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ინვენტარი - 5 წელი;

სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 6-7 წელი;

1000 ლარზე ნაკლები ღირებულების ძირითადი საშუალებები - 2 წელი.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების

გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2019 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	32	82
ლარი საბანკო ანგარიშებზე	282899	146184
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	19691	17
ევროები საბანკო ანგარიშებზე	8159	2
სულ:	310781	146285

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	519214	502186
სულ:	519214	502186

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო ვალეები არ აქვს. გადაუხდეელი მოთხოვნები არის საქართველოს 2 არარეზიდენტი და 19 რეზიდენტი იურიდიული პირების წინაშე, სულ - 21 დებიტორი 31.12.2019 წ. მდგომარეობით.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2429	2462
სულ:	2429	2462

31.12.2019 წ. მდგომარეობით არსებული ავანსებიდან უდიდესი - 2288 ლარის ოდენობით.

3.4. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	54815	26943
სულ:	54815	26943

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
კავშირგაბმულობის მოწყობილობები	2003		940	2943
კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობ-ები	1870	1524	930	1276
ავტო	515	584	90	21
ინვენტარი	0			0
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	0		23	23
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	0		35	35
1000 ლარზე ნაკლები ღირებულების ძირითადი საშუალებები	90	72	99	116
სულ:	4478	2180	2117	4414

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 22731 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 20614 ლარი.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	6526	116437
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	54979	14320
სულ:	61505	130757

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 7 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 6 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	68291	52875
სულ:	68291	52875

68291 ლარს შეადგენს დეკემბრის თვეში გადახდილი გადასახადები, რომლებიც დადეკლარირებული იქნა 2020 წლის 15 იანვრისთვის.

3.8. სხვა ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსები)	15516	11797
სულ:	15516	11797

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 2 რეზიდენტი დებიტორისგან მიღებული ავანსები, რომელზეც გაწეული იქნა მომსახურება 2020 წლის იანვარში.

3.9. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
გაუნაწილებელი მოგება	746405	486861
სულ:	746405	486861

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2019 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2019 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.10. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018-2019 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებიდან.

	2019 წელი
საერთაშორისო გადაზიდვებზე გაწეული მომსახურებიდან შემოსავალი	11586955
სხვა შემოსავალი	3097
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-3039
სულ:	11587013

ძირითადი შემოსავალი რეალიზაციიდან არის მიღებული მომსახურებიდან. სხვა შემოსავალი წარმოადგენს საქონლის რეალიზაციას.

3.11. სხვა შემოსავლები და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2019 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-583572
გადასახადი საპენსიო ფონდში ხელფასებიდან	-2983
ცვეთა და ამორტიზაცია	-2117
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	5707
იჯარის ხარჯები	-9661
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-309
ტვირთის გადაზიდვის მომსახურების ხარჯი	-10135255
ტვირთის დაზღვევის და სხვა მიწოდების ხარჯები	-6219
საკომუნიკაციო ხარჯები	-10098
საბანკო ხარჯები	-12228
საბანკო ხარჯები კონვერტაციის დროს	-6355
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-10167
სულ:	-10773257

3.12. წმინდა შემოსაულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

	2019 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	45549
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-23904
სულ:	21645

3.13. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2019 წლის ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა 2018-2019 წლის მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად („ესტონური მოდელის“ შესაბამისად) 2019 წელს.

	2019 წელი
გაცემული დივიდენდები 2018-2019 წლის	-489473
გაცემულ დივიდენდებზე გადახდილი მოგების გადასახადი	-86378
სულ:	-575851

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს.